1. პროგრამის სახელწოდება: საზოგადოებრივი გეოგრაფია **"Human Geography"**

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: საზოგადოებრივი გეოგრაფიის დოქტორი – PhD in Human Geography.

3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით – 180 კრედიტი.

4)პროგრამის ხელმძღვანელი და ავტორი: სრული პროფესორი იოსებ სალუქვაძე;

5. სწავლების ენა – ქართული;

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ხელეწიფება როგორც პრაქტიკულ სფეროში დამოუკიდებელი მუშაობა და კოლექტიური საქმიანობის წარმართვა, ასევე წვლილის შეტანა გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში და მომავალი თაობის სპეციალისტთა აღზრდაში.

ამ თვალსაზრისით, დოქტორანტურის დამთავრების შემდეგ სპეციალისტი უნდა იყოს საერთაშორისო პროფესიულ ქსელებსა და საზოგადოებებში თანამშრომლობისა და ახალი ცოდნის გენერირების შემძლე. ის საფუძვლიანად უნდა იცნობდეს და ფლობდეს როგორც თანამედროვე გეოგრაფიულ კონცეფციებს, პარადიგმებსა და იდეებს, ასევე ზოგადად სამეცნიერო და ექსპერტულ მეთოდებსა და მიდგომებს.

ის უნდა იყოს მზად საქმიანობის წარმატებით წარმართვისათვის სახელმწიფო დაწესებულებაში, არასამთავრობო სტრუქტურებში და კერძო სექტორში, რომლებიც სივრცითი/გარემოს დაგეგმვისა და ანალიზის სფეროში მოქმედებენ. მას ასევე უნდა შეეძლოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უცხოურ სააგენტოებთან თანამშრომლობა.

7. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საზოგადოებრივ გეოგრაფიაში სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველი უნდა იყოს მაგისტრის ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირი გეოგრაფიაში ან მომიჯნავე დარგში (სოციალური და/ან პოლიტიკური მეცნიერება, ეკონომიკა, გარემოს და დედამიწის შემსწავლელი მეცნიერება).
უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან შესაბამისი სერტიფიკატით და გასაუბრება სპეციალობაში.

8. სწავლის შედეგი;

ცოდნა და გაცნობიერება	თანამედროვე გეოგრაფიული კონცეფციებისა და პარადიგმების ღრმა ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების სივრცითი ასპექტების პროფესიული ანალიზი. სამეცნიერო კვლევის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების მიზანშეწონილობის განსაზღვრა კონკრეტული მიზნის მისაღწევად და ამოცანების გადასაწყვეტად.პროგრესული, დემოკრატიული ღირებულებებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები	• სრული კომპეტენცია სამეცნიერო კვლევის წარმოებისათვის, სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საქმიანობის დაგემვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. • დისკუსიების წარმართვა და მოდერირება, მიუკერძოებელი ანალიზი, კრიტიკული მიდგომა პრობლემური თემებისათვის. • ლიდერობა და ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში თანამშრომლობა.. • საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (გის) საფუძვლიანი გამოყენება. • აკადემიური პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა. • ახალი იდეებისა და კვლევებისათვის ფინანსებისა და რესურსების მოძიების უნარი.

ღირებულებები	კურსდამთავრებულები დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიული ეთიკა, კულტურული ტოლერანტობა, თანამშრობლობა, სამართლიანობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა.
დასკვნის უნარი	დამოუკიდებლად დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; ზოგად-სამეცნიერო რეკომენდაციების და დასკვნების შემუშავების უნარი; ინფორმაციის შეგროვების/მოპოვებისა, სისტემატიზაციისა, ვიზუალიზაციისა და ანალიზის უნარი; პროექტებისა და შეთავაზებების წერა.
სწავლის უნარი:	საზოგადოებრივი გეოგრაფიის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების/პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის სწავლებისა და კვლევის პროცესში. ახალი ცოდნისა და ღირებულებების გენერირების უნარი; ინფორმაციის შეგროვების/მოპოვებისა, სისტემატიზაციისა, ვიზუალიზაციისა და ანალიზის უნარი; სხვისთვის ძირითადი საზოგადოებრივ-გეოგრაფიული თეორიების, კონცეფციების, ასევე პროცესებისა და მოვლენების ძირითადი მახასიათებლების ახსნის (სწავლების) უნარი.
კომუნიკაციის უნარი	საერთაშორისო საზოგადოებასთან გეოგრაფიის თემატურ საკითხებზე უცხო (ინგლისური) ენაზე თავისუფალად ურთიერთობის უნარი; კომპიუტერული და სხვა თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; პროფესიული, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული/საერთაშორისო პროფესიული გუნდების ხელმძღვანელობის უნარი; დროის მენეჯმენტისა და დაგეგმვის უნარი;

9. სწავლის მეთოდები;

ვერბალური, ახსნა-განმარტებითი მეთოდი,
ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი,
საველე კვლევისა და დაკვირვების მეთოდი,
შედარებითი ანალიზის მეთოდი,
სივრცით-დროითი ანალიზის მეთოდი,
სისტემური მიდგომის მეთოდი,

მონაცემთა ვიზუალიზაციისა და კარტოგრაფიული მეთოდი,
სტატისტიკური ანალიზის მეთოდი,
გუნდური მუშაობა და დისკუსია,
გეოინფორმაციული (გის) და დისტანციური ზონდირების მეთოდი,
SWOT ანალიზი,
პროფესიული ნეტვორკინგი და ფანდრაიზინგი.

10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
(A) 91 -100 ფრიადი
(B) 81 -90 ძალიან კარგი
(C) 71 -80 კარგი
(D) 61 -70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51 - 60 საკმარისი
(FX) 41 - 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება საერთო/საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს) აღემატება
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)

sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

11. საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს.
სასწავლო კომპონენტი მოიცავს **40 კრედიტს** და გულისხმობს შემდეგ სალექციო კურსებსა და სხვა აქტივობებს:

სავალდებულო კომპონენტებია:

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- აკადემიური წერა (კვლევის მეთოდების კომპონენტებით) - 5 კრედიტი (სავალდებულო სალექციო კურსი მათთვის, ვისაც აკადემიური წერა და/ან კვლევის მეთოდები სწავლების წინა საფეხურზე არ გაუვლია);
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 5 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია.

- დოქტორანტის სემინარი – 15 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა – 10 კრედიტი;
- შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში - 5 კრედიტი;
- სოციალური კვლევის მეთოდები – 5 კრედიტი;
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 5 კრედიტი;
- მეცნიერების მენეჯმენტი –5კრედიტი;
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა –10 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები– 10 კრედიტი;
- საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები –5–25 კრედიტი;
- სხვა სახის აქტივობა 5–15 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი მოიცავს **140 კრედიტს:**

- 2 სავალდებულო კოლოკვიუმს (20 კრედიტი თითოეულისათვის);
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა (100 კრედიტი).

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში, ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

12. დასაქმების სფეროები:

კურსდამთავრებულები შესაძლოა დასაქმდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო ან კვლევით დაწესებულებებში; ასევე სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო და საერთაშორისო სტრუქტურებში, რომლებიც საქმიანობენ შემდეგ სფეროებში: ტურიზმი და რეკრეაცია; ურბანული სფერო; მიწის მენეჯმენტი; პოლიტიკა, კონფლიქტები, დიპლომატია; სოციალური და კულტურის სფერო; ეკონომიკა და განვითარება; მოსახლეობის საკითხები; სივრცითი დაგეგმარება; ექსპერტიზა ქვეყნებისა და რეგიონების შესახებ.

13. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა:

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ბაზები, რესურს–ცენტრები და სხვა.

მისაღები კონტინგენტი: სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება.

14.სადოქტორო პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალი:

პროფ. იოსებ სალუქვაძე, პროფ. პროფ. გიორგი გოგსაძე

15.პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სადოქტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ.

16.დამატებითი ინფორმაცია

საქართველოში საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამა წარმოდგენილია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დანართი N1.

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)/ განაცხადის ფორმა

პროექტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:

სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო - კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა -200

ბ) **კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები** (საჭიროების შემთხვევაში): სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი.
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა – 400.
თარიღი: